



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 8 21 0001315325



06/12/2021

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წაოების შეწყვეტის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2 „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს აკრედიტაციის პირობებს.

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 2019 წლის 09 იანვრის N1 ოქმის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, რომლის განხილვის შედეგადაც საბჭომ აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის 2¹¹ პუნქტის საფუძველზე, ცენტრთან იშუამდგომლა 1 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

2.2. 2021 წლის 08 თებერვლის ცენტრის დირექტორის №75826 ბრძანების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვრა 2021 წლის მესამე კვარტალი, სექტემბრის თვე.

2.3. ცენტრის დირექტორის სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ 2021 წლის 23 სექტემბრის № 970220 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობა შიამოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |
| | √ | | | |

| | | | | |
|---|---|--|--|--|
| 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |
| 4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა (შეფასდა მხოლოდ 4.1) | √ | | | |
| 5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები (შეფასდა მხოლოდ 5.2) | √ | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 19 ნოემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, აკრედიტაციის მეორე სტანდარტის 2,5 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც აკრედიტაციის მეორე სტანდარტის შეფასება „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ უცვლელი დარჩა. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

3. სარეზოლუციონაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 28⁸ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:


1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 06 დეკემბრის № 1313698 ოქმის №04 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესვიდეს - 2021 წლის 06 დეკემბერს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|----|--|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹ | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი ² | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 09.01.2019 გადაწყვეტილება N 05 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³ | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური ⁴ | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე ⁵ | მერვე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ⁶ | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 50 სასწავლო კომპონენტი |
| 14 | განხორციელების ადგილი ⁷ | საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ.კოსტავას ქუჩა N77 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |
| 16 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2021 წლის 06 დეკემბერი |
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁸ | |

¹ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

² ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

³ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁶ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁷ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁸ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

| | | |
|----|-----------------------------------|----------------------|
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2026 წლის 09 იანვარი |
|----|-----------------------------------|----------------------|